სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

აპრილი №7

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-42

instruqcia / **Instructions** ---------- 43-49

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ---- ---------- 50-52

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** ---------53-54

auqcioni / **Auction** ---------- 55-56

gadasaxadebi #7, 2018

GADASAKHADEBI

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 390) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია და სახელმწიფო პენსიის (შემდგომ – პენსია) დაწესება არსებული რესურსების ფარგლებში.“.

2. მე-4 მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) პენსია – პირისათვის ამ კანონის შესაბამისად დანიშნული ყოველთვიური ფულადი სარგებელი;

კ) კომპეტენტური ორგანო – ამ კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო, რომლის სახელმწიფო კონტროლს, წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნასა და დებულების დამტკიცებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;“.

3. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ) მიიღოს სოციალური დახმარებები ან/და სამედიცინო მომსახურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების გათვალისწინებით;“.

4. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს და იგი აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებულ პენსიის მიღების პირობებს.“.

5. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. პენსიის შეჩერება და განახლება

1. პენსია შეჩერდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

ა) პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას;

ბ) პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას;

გ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

2. პენსია განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს პენსიის შეჩერების დღიდან 1 წლისა:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პენსიონერის მიერ კომპეტენტური ორგანოსათვის პენსიის განახლების შესახებ განცხადების წარდგენის შემდეგ;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პენსიის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ.“.

6. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პენსია შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას;

ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;

ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას;

ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ;

თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.“.

7. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პენსიიდან თანხის დაკავება შეიძლება შესაბამისი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.“.

მუხლი 2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 4 **აპრილი** 2018 **წ**.

N2117-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №176

2018 წლის 12 აპრილი, ქ. თბილისი

„თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №340 დადგენილებაში (სსმ, №146, 10/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართ №2-ის:

1. **პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 1. თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის კომისია (შემდგომში – კომისია) შექმნილია „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) საფუძველზე.“.

2. **მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 3^1 **მუხლი**:

„**მუხლი** 3^1. დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც აქვთ კანონში.“.

3. **მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 4

კომისია:

ა) განიხილავს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმრო(ები)ს მშენებლობით დაინტერესებული ინვესტორების განაცხადებსა და მათ მიერ წარდგენილი ინფორმაციის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან კომპანიის დაარსების შესახებ სასტუმრო(ები)ს მშენებლობის განხორციელებისა და ფუნქციონირებისათვის, სათანადო ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი) საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ ინვესტორთან ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რის შესახებაც შუამდგომლობს ქონების მმართველის წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შუამდგომლობს უფლებამოსილ ორგანოსთან მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებაზე, კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) ადგენს სასტუმრო(ები)ს მშენებლობის დამთავრებისა და მისი ექსპლუატაციაში შეყვანის ვადებს, აგრეთვე, იღებს გადაწყვეტილებას ამ ვადების გაგრძელების შესახებ და მიმართავს ქონების მმართველს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნული წინადადებებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს;

გ) კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმართვის შემთხვევაში, განიხილავს მას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას ინვესტორის მიმართ ამავე კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 5. ქონების მმართველი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს თავისუფალი ტურისტული ზონის ფარგლებში არსებული სასტუმრო(ები)ს მშენებლობის მიმდინარეობის მონიტორინგს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია, მიიწვიოს ექსპერტები და შესაბამისი დასკვნები წარუდგინოს კომისიას.

მუხლი 6. ინვესტორის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მმართველი უფლებამოსილია, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება საჯარიმო სანქციების გატარების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №179

2018 წლის 12 აპრილი, ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის თანამშრომელს (შემდგომში – თანამშრომელი), რომელსაც უწევს სამსახურებრივი გადაადგილება რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტში, რაც დაკავშირებულია ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს და ამ მიზნით ბინას ქირაობს სსიპ – შემოსავლების სამსახური.

2. თანამშრომლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესსა და პირობებს ამტკიცებს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი.

3. გადაწყვეტილებას თანამშრომლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე იღებს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №123

2018 წლის 28 მარტი, ქ. თბილისი

„სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ივლისის №221 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტისას საბაჟო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 16 ივლისის №221 ბრძანებით (ვებგვერდი, 17/07/2015, სარეგისტრაციო კოდი 190040000.22.033.016776) დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის:

1. 4^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^2 – 4^4 პუნქტები:

„4^2. ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ.

4^3. ნიმუში ანალიზისათვის იგზავნება შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ (გარდა ამ მუხლის 4^4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიაში.

4^4. საქონლის მფლობელს უფლება აქვს, მოითხოვოს აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის დაჩქარებული წესით ჩატარება თავისი ხარჯით იმ ლაბორატორიაში, რომელსაც გააჩნია შესაბამისი აკრედიტაცია დაჩქარებული მეთოდით გამოკვლევაზე.“.

2. მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„51. სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი ორგანიზმის ან მისგან წარმოებული პროდუქტის ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება, ხოლო სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი ხორბლის შემთხვევაში – აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზიც ხორციელდება საქონლის მფლობელის ხარჯით.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №126

2018 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. მე-6 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული ან ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით (დანართი №II–02) გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მიტანის ვადა, მიუხედავად გადაზიდვის მანძილისა, შეადგენს 45 კალენდარულ დღეს, რომელიც აითვლება შესაბამისი დეკლარაციის ან მოწმობის რეგისტრაციის თარიღიდან.“.

2. 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. 34-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. 64-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბაჟო საწყობში შენახულ, საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა დასაშვებია საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების ან საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის საფუძველზე.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ახალი მესაკუთრე ვალდებულია, ხელშეკრულების ან საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის შესაბამისად, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში. ამასთან, შიდა გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ საქონელზე, გადაუმუშავებელ საქონელზე, ნაშთზე ან/და ნარჩენებზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში შესაბამისი საქონელი შესაძლებელია მოექცეს იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან საწყობის სასაქონლო ოპერაციაში, ან განხორციელდეს საქონლის განკარგვა.“.

6. 79-ე მუხლის 7^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7^1. ნარჩენი შესაძლებელია მოექცეს იმპორტის, ექსპორტის ან საწყობის სასაქონლო ოპერაციაში, ან განხორციელდეს საქონლის განკარგვა.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №139

2018 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართი N2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 352 - სსიპ – „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

353	0965	ა(ა)იპ – „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

689	4329	ა(ა)იპ – ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი
750	4390	ა(ა)იპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
751	4391	ა(ა)იპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა
752	4392	ა(ა)იპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი
753	4393	ა(ა)იპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო კომპლექსური სკოლა
758	4398	ა(ა)იპ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა

გ) ბიუჯეტის განმკარგველის – 1422 – „ა(ა)იპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1423	5063	ა(ა)იპ – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“
1424	5064	ა(ა)იპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი „სვეტი“

2. დანართ №3-ში ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდის 3294 – „შემოსავალი შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან“ – შემდეგ დაემატოს ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი შემდეგი კოდი:

შემოსავალი პარკირების უფლების მოპოვებისთვის დადგენილი საფასურიდან	3295

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №52/№145

2018 წლის 11 აპრილი, ქ. თბილისი

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებთ**:

მუხლი 1

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივი ბრძანებით (სსმ, №172, 31.12.2010 წ., სარეგისტრაციო კოდი:

230150070.22.033.016107) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სპეციალისტი – სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც სააგენტოს დებულების ან/და სააგენტოს დირექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმებას.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/177

2018 წლის 5 აპრილი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1–1/330 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1–1/330 ბრძანებით (სსმ III, 17.03.2010 წ., მუხ.431) დამტკიცებული დებულების დანართ №1-ში („ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისთვის დამატებითი პირობების დადგენას, შესარჩევი პროცესის წარმართვას და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), ამ დებულებისა და მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით (შემდგომში – დებულება).

3. ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი კანონმდებლობის და დებულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით.“.

2. **მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ამ დებულების მოქმედება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 11 დეკემბრამდე ნებისმიერ პერიოდში გააჩნდათ ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მოქმედი აკრედიტაცია (გარდა არსებული ხაზების გაფართოების მიზნით აკრედიტაციის მოპოვების ან/და მე-3, მე-6 მუხლების შესაბამისად შერჩევის პროცესში მონაწილეობის შემთხვევისა). აღნიშნულ პირებზე გავრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის ტექნიკური რეგლამენტებით, შესაბამისი აკრედიტაციის მოპოვებისთვის დადგენილი მოთხოვნები.“.

3. **მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 3. დაინტერესებული პირების მიერ შერჩევის პროცესში მონაწილეობის პირობები

1. ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაინტერესებული პირების მიერ აკრედიტაციის მისაღებად, ამ დებულებით განსაზღვრულ ვადაში, დაინტერესებული პირები სამინისტროს წარუდგენენ განაცხადს, რომელსაც უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია, თითოეული ტესტირების ხაზისთვის 100,000 ლარის ოდენობით;

ბ) წინადადება, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის გადახდის თაობაზე, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით დადგენილი ოდენობით;

გ) იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გამოცემული მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.”.

2. შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება იწყება და მთავრდება ამ მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად გამოცემული ბრძანებით გათვალისწინებულ ვადებში. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება სამინისტროში რეგისტრაციის თარიღით.

3. დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე, თუ არ აკმაყოფილებს ან დარღვეულია დებულებით დადგენილი მოთხოვნები.

4. საქართველოს შესაბამისი რეგიონების მიხედვით ასამოქმედებელი ინსპექტირების ცენტრების ტესტირების ხაზების რაოდენობა, სახეობები, გეოგრაფიული განაწილება, შერჩევის პროცესის გამოცხადება და სხვა საკითხების განისაზღვრა ხორციელდება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით, რომელიც ქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე, არაუგვიანეს 2018 წლის 12 აპრილისა.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. **მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი**:

„7. პირებს, რომლებთანაც სამინისტრო, როგორც არსებულ ცენტრებთან არ გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას, სამინისტროს მხრიდან უბრუნდებათ (უარის თქმით) მათ მიერ წარმოდგენილი გარანტიები.“.

5. **მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალზე ორი ან მეტი განაცხადით, შემოთავაზებული იქნა თანაბარი ყველაზე მაღალი საფასური, კომისია, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია ამ განაცხადების წარმომდგენ პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის კრიტერიუმის ნაწილში.”.

6. **მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) შესარჩევი პროცესის პირობებიდან გამომდინარე გამარჯვებული პირის/არსებული ცენტრის ვალდებულებები ინსპექტირების ცენტრის შექმნა-მოწყობასთან დაკავშირებით (ან/და არსებულის გაფართოების შესახებ), ხოლო დაინტერესებული პირ(ებ)ის შემთხვევაში ასევე ამ დანართის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ბრძანებით დადგენილი სხვა ვალდებულებები.“.

7. **მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. სამინისტრო არ არის ვალდებული აუნაზღაუროს:

ა) ამ მოწვევით განსაზღვრულ პროცესში მონაწილე ან სხვა პირს ამ მოწვევით განსაზღვრულ პროცესთან დაკავშირებით ამ მოწვევის ამოქმედებამდე ან მას შემდეგ გაწეული რაიმე სახის ხარჯი.

ბ) შერჩევის პროცესში გამარჯვებულ პირს ან სხვა პირს შერჩევის პროცესში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ან გაფორმების შემდგომ გაწეული რაიმე სახის ხარჯი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 5 აპრილიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №56/04

2018 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი

„საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და გირაოს მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 16 დეკემბრის №160/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და გირაოს მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 16 დეკემბრის №160/01 ბრძანებაში (სსმ, №165, 17/12/2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების დებულების დამტკიცების თაობაზე“.

2. ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების დებულება“ თანდართულ დანართთან ერთად.“.

3. ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების დებულება“;

ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს დებულება არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მონეტარულ ოპერაციებს.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მე-2 მუხლის „შ“, „ჩ“, „ც“, „წ“, „ჭ“, „ხ“, „ჯ“, „ჰ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რეფინანსირების სესხის განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:

ა) რეფინანსირების სესხის მოცულობა;

ბ) რეფინანსირების სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი, მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით.“;

ე) 8^1 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის ასაღებად განაცხადში ბანკმა უნდა მიუთითოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:

ა) ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის მოცულობა;

ბ) ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის წლიური საპროცენტო განაკვეთი, მძიმის შემდეგ სამი ციფრის სიზუსტით.“;

ვ) თავი IV ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №57/04

2018 წლის 5 აპრილი, ქ. თბილისი

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვითი ორგანოს განსაზღვრისა და ანგარიშვალდებული საწარმოს 1%-ზე ნაკლები წილის მფლობელის აქციონერთა საერთო კრებაზე მოწვევის წესის დამტკიცების თაობაზე

,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ,,მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოდ, სადაც ქვეყნდება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების (შემდგომში – საერთო კრება) მოწვევის შესახებ შეტყობინება, განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

მუხლი 2

ანგარიშვალდებული საწარმოს 1%-ზე ნაკლები წილის მფლობელი აქციონერი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას გაეცნობა ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრულ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 3

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვითი ორგანოს განსაზღვრისა და ანგარიშვალდებული საწარმოს 1%-ზე ნაკლები წილის მფლობელის აქციონერთა საერთო კრებაზე მოწვევის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 3 თებერვლის №16 ბრძანება.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №58/04

2018 წლის 5 აპრილი, ქ. თბილისი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 07 თებერვლის №33/04 ბრძანება.

მუხლი 3

არსებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად განესაზღვროთ ვადა 2018 წლის 1 ოქტომბრამდე.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) რეგისტრაციის წესსა და პირობებს.

2. იურიდიულ პირს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსით საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის შემდეგ.

3. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით.

4. ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია თავის საფირმო სახელწოდებაში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღნიშვნის გარდა, შეიტანოს ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან მისი აბრევიატურა „მისო“.

5. რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გარდა, არავის აქვს უფლება თავის სახელწოდებასთან ერთად გამოიყენოს ტერმინი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ ან მისი აბრევიატურა „მისო“.

6. სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, რომლის მიმართაც გამოყენებულ უნდა იქნეს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია – შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას;

ბ) მნიშვნელოვანი წილი – მნიშვნელოვანი წილი – პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა/აქციონერთა ჯგუფის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის განაღდებული კაპიტალის ან განცხადებული კაპიტალის ან/და ხმის უფლების მქონე წილის/აქციების 10%-ზე მეტი წილი ან/და პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა/აქციონერთა ჯგუფის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე წილში/აქციებში წილის ოდენობისა მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა/აქციონერთა ჯგუფი – ახლონათესაური კავშირის (პირველი რიგისა და მეორე რიგის მემკვიდრეები) მქონე პარტნიორთა/აქციონერთა ჯგუფი, ან პარტნიორები/აქციონერები, რომლებიც ერთმანეთთან, გარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სხვა კომერციული ინტერესებითაც არიან დაკავშირებული;

დ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორატის წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან/და ერთ ან რამდენიმე პირთან ერთად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სახელით აიღოს ვალდებულებები;

ე) ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც კანონის ან გარიგების საფუძველზე იღებს ფულად ან სხვა სარგებელს და ამ სარგებლის სხვა პირისთვის გადაცემის ვალდებულება არ აკისრია, ხოლო თუ ბენეფიციარი მესაკუთრე არის იდეალური მიზნებისთვის შექმნილი პირი ან თუ მესაკუთრე იურიდიულ პირს არ ჰყავს მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე პირი – მისი მმართველი ორგანოს წევრი;

თ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ფილიალი – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობა ან მისი ნაწილი;

ი) გადახდისუუნარო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლის აქტივები არ არის საკმარისი მისივე ვალდებულებების დასაფარად.

მუხლი 3. სარეგისტრაციო მოთხოვნები

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციად დასარეგისტრირებელად, ორგანიზაციის პარტნიორთა/აქციონერთა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ეროვნულ ბანკს მიმართავს განცხადებით (დანართი №1).

2. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენია რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი;

ბ) ორგანიზაციის წესდება;

გ) პარტნიორთა/აქციონერთა გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე;

დ) ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სათავო დაწესებულებისა და ფილიალების ადგილსამყოფელის შესახებ (დანართი №2);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც მომავალში განთავსდება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ან/და მისი ფილიალი;

ვ) რეგისტრაციის მომენტისთვის არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტორული დასკვნა);

ზ) ბიზნესგეგმა, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ბიზნესსტრატეგიას, მინიმუმ 2 წელზე გათვლილ საბიუჯეტო გეგმასა და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზს. ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიების საწყის ეტაპზე დასანერგ მინიმუმსა და მომდევნო საოპერაციო პერიოდში დანერგვის გეგმას;

თ) ორგანიზაციული სტრუქტურა და შინაგანაწესი;

ი) „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ) 1 000 000 მილიონი (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით განაღდებული კაპიტალის დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი;

ლ) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აქციები ან წილი არ არის დაგირავებული რაიმე ვალდებულების უზრუნველსაყოფად;

მ) სათავო ოფისისა და ქვედანაყოფების გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის/აქტების ასლი;

ნ) პარტნიორთა/აქციონერთა და ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ შემდეგი დოკუმენტები:

ნ.ა) მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი);

ნ.ბ) დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ყოველწლიურად, არაუგვიანეს 15 ივნისისა (დანართი №3 და №4);

ნ.გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მფლობელობის სტრუქტურა – ინფორმაცია მფლობელობის ყველა დონის შესახებ, როგორც უშუალო, ისე შუალედური და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარების ჩათვლით;

ნ.დ) ცნობა მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ნასამართლობის შესახებ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნ.ე) ინფორმაცია მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირების ფინანსური მდგომარეობის, შემოსავლის წყაროსა და ამ შემოსავლების წარმომავლობის შესახებ;

ო) ადმინისტრატორთა შესახებ შემდეგი დოკუმენტები:

ო.ა) ცნობა ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც დადასტურებული იქნება ზემდგომი ორგანოს მიერ (დანართი N5);

ო.ბ) პარტნიორთა/აქციონერთა კრების ოქმი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ;

ო.გ.) სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

ო.დ) სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმი დირექტორის/დირექტორთა დანიშვნის შესახებ;

ო.ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის მოწმობის ან პასპორტის დადასტურებული ასლი), ხოლო დირექტორებისთვის ინფორმაცია მოქალაქეობის ან საქართველოს რეზიდენტობის შესახებ;

ო.ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ო.ზ) ინფორმაცია კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ;

ო.თ) ინფორმაცია ფინანსური ვალდებულებების შესახებ;

ო.ი) ორი სარეკომენდაციო წერილი გაცემული იმ პირთა მიერ, რომლებთანაც მუშაობდა პირი;

ო.კ) ცნობა ნასამართლობის შესახებ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნების ან მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლების სახით. უცხო ქვეყანაში გაცემული დოკუმენტები ასევე უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან/და ლეგალიზებული, ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას დოკუმენტაციის ქართულ ენაზე სათანადოდ დამოწმებული თარგმანი.

4. ეროვნულ ბანკს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება რეგისტრაციის მიზნებისათვის დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 4. რეგისტრაცია და ცვლილებები

1. დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ეროვნულ ბანკში წარდგენის შემდეგ, ეროვნული ბანკი 45 სამუშაო დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ იურიდიულ პირს.

2. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული იურიდიული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე უარს განაცხადებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციაზე, ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ იურიდიულ პირს.

3. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად დაინტერესებულ იურიდიულ პირს ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს 30 კალენდარულ დღეს, რომლის განმავლობაშიც ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული იურიდიული პირისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

4. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს რთული/გაურკვეველი სადამფუძნებლო სტრუქტურა ან/და კაპიტალის წარმომავლობის დაუდასტურებლობა.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაინტერესებულ იურიდიულ პირს უარი უთხრას მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციაზე, თუ აღნიშნული პირის, მისი პარტნიორის/აქციონერის ან დირექტორის მიერ არ არის გადახდილი რეგისტრაციის მოთხოვნამდე ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ჯარიმა.

6. რეგისტრაციის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეკვიზიტებთან ერთად აღინიშნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

7. ინფორმაცია რეგისტრაციის თაობაზე აისახება ეროვნული ბანკის რეგისტრაციის რეესტრში და გამოქვეყნდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, ფაქტობრივი ან/და იურიდიული მისამართის ცვლილებების შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია ამ ცვლილების განხორციელებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

9. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია ადმინისტრატორთა ცვლილებამდე 15 კალენდარული დღით ადრე აცნობოს ეროვნულ ბანკს და წარმოუდგინოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია ეროვნული ბანკისაგან თანხმობის მისაღებად. განაცხადის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ დაინტერესებული პირისათვის პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემას.

10. ეროვნული ბანკი ვალდებულია ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში სათანადო ცვლილებები შეიტანოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის რეესტრში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

მუხლი 5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას რეგისტრაციის გაუქმება

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც უნდა მიეთითოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

2. რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:

ა) პარტნიორთა/აქციონერთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის წერილობითი მომართვა რეგისტრაციის გაუქმების თხოვნით;

ბ) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი სიყალბე;

გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების ან/და ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებების შეუსრულებლობა;

დ) რეგისტრაციიდან 6 თვის განმავლობაში საქმიანობის განუხორციელებლობა;

ე) სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან შერწყმის შემთხვევაში;

ვ) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმით ან პერიოდულობით ეროვნული ბანკისთვის ზედიზედ ორჯერ ფინანსური ანგარიშგების წარუდგენლობა;

ზ) სამეწარმეო ან/და საფინანსო კანონმდებლობის დარღვევა ან/და ისეთი სამეწარმეო პრაქტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნის ან რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონკრეტული სუბიექტის ან/და საფინანსო სექტორის ჯანსაღ ფუნქციონირებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობა;

ი) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

3. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმებისთანავე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონის შესაბამისად დაიწყება ლიკვიდაციის პროცესი.

4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმებაზე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა:

ა) თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ არ არის გადახდილი ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმა;

ბ) რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნამდე ან მოთხოვნის მომენტისათვის მიმდინარეობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეროვნული ბანკის მიერ შემოწმება ან/და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ ჩაბარებია შემოწმების აქტი და შემოწმების აქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 6. მნიშვნელოვანი წილის შეძენა

1. პირი, რომელიც აპირებს შეიძინოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილი იმ ოდენობით, რომ ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კაპიტალში მისი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მონაწილეობა 10 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს, ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

2. ეროვნულ ბანკს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება მნიშვნელოვანი წილის შეძენის ტრანზაქციის შეფასების მიზნებისათვის დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

3. ეროვნული ბანკი განაცხადს მნიშვნელოვანი წილის შეძენის თაობაზე განიხილავს მისი წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში და დაინტერესებულ პირს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობას აძლევს ან დასაბუთებულ უარს ეუბნება.

4. განაცხადის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ დაინტერესებული პირისათვის პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემას.

5. ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად დაინტერესებულ პირს ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს 30 კალენდარულ დღეს, რომლის განმავლობაშიც ჩერდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული პირისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე უარის თქმის საფუძველს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წილის შეძენის თაობაზე გარიგება ბათილია, თუ დაინტერესებულმა პირმა ეროვნულ ბანკს არ წარუდგინა ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია ან ეროვნული ბანკისგან მიღებული დასაბუთებული უარის მიუხედავად, მაინც განახორციელა მნიშვნელოვანი წილის შეძენა.

მუხლი 7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულება

1. თბილისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ოზურგეთის, ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ვალდებულია უზრუნველყოს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით გათვალისწინებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის პარამეტრებსა და მახასიათებლებს. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით დამონტაჟება, მაშინ დაინტერესებული მეწარმე სუბიექტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესის მოთხოვნებისაგან განსხვავებული განლაგებით დამონტაჟების თაობაზე.

2. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა განთავსდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შიგნით და გარეპერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შიგნით უნდა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს შემომსვლელი პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიკაცია.

3. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის გათიშვის ან/და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანების გამო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართულ მუშაობას, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაზიანება უნდა აღმოფხვრას გონივრულ ვადებში.

4. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში სათავო ოფისში და მის ქვედანაყოფებში იქონიოს ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ერთ-ერთი პირი კალენდარული თვის განმავლობაში არანაკლებ 14 კალენდარული დღისა უნდა იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე. მისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. ზემოაღნიშნული ვადის შესაძლო დარღვევის შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა წინასწარ უნდა აცნობოს ეროვნულ ბანკს შესაბამისი მიზეზი და მიაწოდოს საქართველოში არყოფნის პერიოდში მისი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა).

დანართი №1

განცხადება რეგისტრაციაზე

გაცნობებთ, რომ _____

ორგანიზაციის დასახელება

წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს შემდეგი მონაცემებით:

_____

საფირმო სახელწოდება

_____

სამართლებრივი ფორმა

_____

საიდენტიფიკაციო კოდი

_____

იურიდიული მისამართი

_____

სათავო ოფისის ფაქტობრივი მისამართი

_____

ელექტრონული ფოსტის მისამართი

_____

ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი

_____

სტრუქტურული ქვედანაყოფების რაოდენობა

_____

სახელწოდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციად დარეგისტრირების შემთხვევაში

გთხოვთ, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, წინამდებარე განცხადებისა და ჩამონათვალში მითითებული თანდართული დოკუმენტების საფუძველზე ზემოაღნიშნული ორგანიზაცია დაარეგისტრიროთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი:

ზოგადი დოკუმენტაცია: *დიახ/არა*

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში - დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერი	
2. ორგანიზაციის წესდება	
3. პარტნიორთა (აქციონერთა) გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე	
4. ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სათავო დაწესებულებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ადგილსამყოფლის შესახებ	
5. დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის ან საკუთრების უფლებას, სადაც მომავალში განთავსდება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ან/და მისი ქვედანაყოფი	
6. რეგისტრაციის მომენტისთვის არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, არსებობის შემთხვევაში აუდიტის დასკვნა).	
7. მინიმუმ 2 წელზე გათვლილი ბიზნესგეგმა და სტრატეგია	
8. ორგანიზაციული სტრუქტურა და შინაგანაწესი	
9. საქართველოს კანონით განსაზღვრული სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	
10. კაპიტალის შევსების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი	
11. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომ ორგანიზაციის აქციები ან წილი არ არის დაგირავებული რაიმე ვალდებულების უზრუნველსაყოფად	
12. სათავო ოფისისა და ქვედანაყოფების გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟების აქტის/აქტების ასლი	
13. პროგრამული მოდულების ფუნქციონალური აღწერილობა	

დოკუმენტაცია პარტნიორთა (აქციონერთა) და ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ:

14. მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა პირადობის დამადასტურებელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები (პირადობის მოწმობის ან პასპორტის დადასტურებული ასლი)	
15. შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ	
16. მფლობელობის სტრუქტურა	
17. ცნობა მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ნასამართლობის შესახებ	
18. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ	

დოკუმენტაცია ადმინისტრატორთა შესახებ:

19. ცნობა ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ	
20. პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ	
21. სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმი დირექტორთა დანიშვნის შესახებ	
2. პირადობის დამადასტურებელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები (პირადობის მოწმობის ან პასპორტის დადასტურებული ასლი)	
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი	
4. ინფორმაცია კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ	
5. ინფორმაცია ვალების შესახებ	
6. ორი სარეკომენდაციო წერილი (აქედან ერთი წინა სამუშაო ადგილიდან)	
7. ცნობა ნასამართლობის შესახებ	

პარტნიორთა (აქციონერთა) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:

სახელი, გვარი

თანამდებობა

ტელეფონის ნომერი

ელექტრონული ფოსტის მისამართი

ხელმოწერა

თარიღი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სათავო დაწესებულებისა და ფილიალების ადგილსამყოფლის შესახებ

	ქალაქი/ რაიონი	მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტის მისამართი	ხელმძღვანელი პირი

_____ _____

ხელმოწერა თარიღი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

<u>დანართი №3</u>

დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ (ფიზიკური პირი)

ორგანიზაციის (შემდგომში – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) დასახელება

ბენეფიციარი ფიზიკური პირის სახელი და გვარი
პროცენტული წილი ორგანიზაციის (შემდგომში – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) კაპიტალში
დაბადების თარიღი
მოქალაქეობა
დაბადების ადგილი
იურიდიული მისამართი (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, ნომერი)
საიდენტიფიკაციო პირადი №
საიდენტიფიკაციო დოკუმენტი / № (პასპორტი, პირადობის მოწმობა, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მათთან გათანაბრებული დოკუმენტი)
საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გამცემი ორგანო
საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მოქმედების ვადა

აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით, ბენეფიციარი მესაკუთრე ადასტურებს, რომ:

ა) იგი არ არის ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;
ბ) იგი არ არის შემჩნეული კანონმდებლობის დარღვევაში ან არაჯანსაღ, საფრთხის შემცველ სამეწარმეო პრაქტიკაში;
გ) წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარია.

_____ _____

ხელმოწერა თარიღი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №4

დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ (იურიდიული პირი)

ორგანიზაციის (შემდგომში – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) დასახელება

მესაკუთრე იურიდიული პირის სახელწოდება
სამართლებრივი ფორმა (შპს/სს/იდეალური მიზნებისთვის შექმნილი პირი)
პროცენტული წილი ორგანიზაციის (შემდგომში – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) კაპიტალში
იურიდიული მისამართი (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, ნომერი)
ფაქტობრივი მისამართი (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, ნომერი)
საიდენტიფიკაციო კოდი
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის / მმართველი ორგანოს წევრის სახელი, გვარი[2]
დაბადების თარიღი
მოქალაქეობა
დაბადების ადგილი
იურიდიული მისამართი (ქვეყანა, ქალაქი, ქუჩა, ნომერი)
საიდენტიფიკაციო პირადი №
საიდენტიფიკაციო დოკუმენტი / № (პასპორტი, პირადობის მოწმობა, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მათთან გათანაბრებული დოკუმენტი)
საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გამცემი ორგანო
საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მოქმედების ვადა

წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას ვადასტურებ:

_____ _____

ხელმოწერა თარიღი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №5

ცნობა ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ

ორგანიზაციის (შემდგომში – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) დასახელება

ადმინისტრატორის სახელი, გვარი

თანამდებობა

ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი

	დიახ	არა
ხართ თუ არა რომელიმე კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პარტნიორი (აქციონერი), სამეთვალყურეო ან/და დირექტორთა საბჭოს წევრი.	□	□
მონაწილეობდით თუ არა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომერციულ ბანკს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას – საკრედიტო კავშირს ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, ან შელახა კომერციული ბანკის ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის დეპოზიტართა ან სხვა კრედიტორთა უფლებები, ან გამოიწვია კომერციული ბანკის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.	□	□
იყავით თუ არა წარსულში კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორი და თქვენი საქმიანობის შედეგად აღნიშნული კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გადახდისუუნარო გახდა.	□	□
გაქვთ თუ არა ვადადამდგარი შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება რომელიმე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის ან სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ.	□	□
ხართ თუ არა ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.	□	□
გაქვთ თუ არა სათანადო განათლება ან/და გამოცდილება.	□	□
გაქვთ თუ არა საფინანსო სექტორში მუშაობის სულ ცოტა 4 წლის სტაჟი, მათგან ხელმძღვანელ თანამდებობაზე (სტრუქტურული ერთეულის უფროსი ან მოადგილე) მუშაობის 2 წლის სტაჟი.	□	□

ინიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით პირი ადასტურებს, რომ:

აკმაყოფილებს ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და ნობების დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად;
მარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარია;

ხელმოწერა თარიღი

დასტურება ზემდგომი ორგანოს მიერ:

სახელი, გვარი, თანამდებობა

ხელმოწერა თარიღი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №60/04

2018 წლის 5 აპრილი, ქ. თბილისი

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის 37/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

მუხლი 1

„ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის 37/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 28/02/2018; ს/კ: 220090000.18.011.016282) დამტკიცებული წესის:

1. **მე-7 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.დ) "ტრანზაქციის გაუქმება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 5000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში! – Transaction can be canceled within 30 minutes after receiving of the receipt if the transaction volume does not exceed 5000 GEL or its equivalent in foreign currency!”.“

ბ) მე-6 პუნქტის:

ბ.ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები: ფიზიკური პირის შემთხვევაში, კლიენტის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი ორგანო და გაცემის თარიღი. იურიდიული პირის (აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ არის იურიდიული პირი ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს) და მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირის შესაბამისად;“;

ბ.ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„თ) ტრანზაქციის გაუქმება შესაძლებელია ქვითრის მიღებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 5000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში! – Transaction can be canceled within 30 minutes after receiving of the receipt if the transaction volume does not exceed 5000 GEL or its equivalent in foreign currency!“.“

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია ვალუტის გაცვლის ოპერაციის განხორციელებიდან 30 წუთის განმავლობაში მომხმარებლის მოთხოვნით, ქვითრის წარდგენის შემთხვევაში, გააუქმოს აღნიშნული ოპერაცია და დააბრუნოს გაცვლილი ვალუტა, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 5000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში.“.

2. **თანდართული დანართი №3 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.**

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

დანართი №3

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის კონსოლიდირებული ანგარიშგება

პუნქტის დასახელება: _____

პუნქტის მისამართი: _____

ტელეფონის ნომერი: _____

სარეგისტრაციო ნომერი: _____

თანამშრომელთა რაოდენობა: _____

მათ შორის ქალები: _____

მათ შორის კაცები: _____

ფილიალების რაოდენობა: _____

საანგარიშგებო პერიოდი (კვარტალი, წელი): _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვალუტა	საწყისი ნაშთი	ყიდვა	გაყიდვა	საბოლოო ნაშთი

ხელმოწერა: თარიღი:

შენიშვნა: *ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის თაობაზე მონაცემები უნდა აისახოს ნაზარდი ჯამით*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №64/04

2018 წლის 12 აპრილი, ქ. თბილისი

„საწარმოთა ობლიგაციების ემისიის, საჯარო შეთავაზების და განთავსების ანგარიშების შესახებ" წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს №79/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა" და „ზ" ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. **„საწარმოთა ობლიგაციების ემისიის, საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ" წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის** 2016 **წლის** 5 **აგვისტოს** №79/04 **ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე** (www.matsne.gov.ge), 09/08/2016, **სარეგისტრაციო კოდი**: 190040000.18.011.016200) **დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება**:

1. **მე-2 მუხლს „ე" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^1" ქვეპუნქტი**:

„ე^1) უზრუნველყოფის აგენტი – იურიდიული პირი, რომელიც ემისიის პროსპექტის და ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოქმედებს ობლიგაციონერების ინტერესებიდან გამომდინარე უზრუნველყოფის საგნის მართვისა და შესაძლო რეალიზაციის საკითხებში;".

2. **მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 2^1 **და** 2^2 **პუნქტები**:

„2^1. იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების ემისიის სქემაში მონაწილეობს უზრუნველყოფის აგენტი, ემისიის საბოლოო პროსპექტი უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას უზრუნველყოფის აგენტის შესახებ, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, ინფორმაციით მმართველ ორგანოში შემავალი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პირების შესახებ, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციით;

ბ) ინფორმაციას უზრუნველყოფის აგენტის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესახებ;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) ინფორმაციას ემიტენტსა და უზრუნველყოფის აგენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ და საჯარო რეესტრის და/ან სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს უზრუნველყოფის აგენტის სასარგებლოდ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი უფლებამოსილების რეგისტრაციის ფაქტს;

დ) ინფორმაციას უზრუნველყოფის აგენტის ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო რისკის თაობაზე.

2^2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 და 2^1 პუნქტებში მითითებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გარდა, მოითხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №131

2018 წლის 30 მარტი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის:

1. 33-ე **მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) მე-15 უჯრაში მიეთითება – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლით დადგენილი ნორმებით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი, რომელიც მიიღება საანგარიშო პერიოდში ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით (გარდა საქართველოს საწარმოს მიერ გაცემული და გადახდის წყაროსთან დაბეგრილი დივიდენდისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 და 4^1 ნაწილების შესაბამისად მიღებული დივიდენდებისა და 131-ე მუხლის მე-5, მე-8 და მე-9 ნაწილების შესაბამისად მიღებული პროცენტებისა), მათ შორის, შემოსავალი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. ამასთან, როცა დეკლარაციას ავსებს არარეზიდენტი ფიზიკური პირი დაკავებული თანხების დაბრუნების მოთხოვნით, დეკლარაციის მე-15 უჯრაში შეიტანება მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“, „$დ^1$“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლები;“.

2. 40^1 **მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა.ა) 16.1 სტრიქონი – აისახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. მათ შორის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

– საწარმოს ლიკვიდაციისას განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

– საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირების გზით აქტივების გადაცემა, (გარდა საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტებისათვის აქტივების გადაცემისა, თუ ამ საწარმოს წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია), რომლის ღირებულებაც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

– საწარმოს აქციის/წილის გამოსყიდვისას განხორციელებული გადახდა/განაცემი (ლიკვიდაციისას ან კაპიტალის შემცირებისას), რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

– რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემით პარტნიორზე განხორციელებული გადახდა.

შენიშვნა: 16.1 სტრიქონში ასევე შეიტანება 2008 წლამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. ამასთან, 16.1 სტრიქონში არ შეიტანება:

ა) „ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოგების განაწილება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე, გარდა:

ა.ა) მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული აღნიშნული პირ(ებ)ისა;

ა.ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის აღნიშნულ პირ(ებ)ზე განაწილებისა;

ა.გ) 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადაზღვევო ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ლომბარდზე დივიდენდის განაწილებისა, თუ მოგება განეკუთვნება 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდებს;

ა.დ) კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადაზღვევო ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ლომბარდზე დივიდენდის განაწილებისა, თუ მოგება განეკუთვნება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდებს;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული დივიდენდის განაწილება;

გ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდის მიმღები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) მიერ მისი შემდგომი განაწილება;

დ) 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება;

ე) 2008 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან კომერციული ბანკისგან, საკრედიტო კავშირისგან, სადაზღვევო ორგანიზაციისგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდისგან მიღებული დივიდენდის განაწილება;

ვ) არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება.“.

3. 112-ე **მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„13. 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებული მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №140

2018 წლის 10 აპრილი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №III-25-ის „დანართი „ბ“-ს ნაწილი II^1 და ნაწილი II^2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. 75-ე მუხლის 5^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^3 და 5^4 პუნქტები:

„5^3. დეკლარაციის „ბ“ დანართის II^1 ნაწილის პირველ-მე-12 სვეტებში აისახება დასაბეგრ ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, კორექტირების) შესახებ ინფორმაცია. მე-13-მე-15 სვეტები ივსება იმ შემთხვევაში, თუ პირველ-მე-12 სვეტებში ასახულია იმ ნავთობპროდუქტების მიწოდებაზე გამოწერილი ნავთობპროდუქტის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) შესახებ მონაცემები, რომელზეც წინა საანგარიშო პერიოდებში განხორციელდა საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ჩარიცხვა და მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილ თანხაზე/თანხის ნაწილზე გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. შესაბამისად, მე-13-მე-15 სვეტები მოიცავს საანგარიშო პერიოდში მიწოდებულ ნავთობროდუქტებზე წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ ინფორმაციას.

5^4. დეკლარაციის „ბ“ დანართის II^2 ნაწილის პირველ-მე-12 სვეტებში აისახება შეძენილ ნავთობპროდუქტებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი ნავთობპროდუქტის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, კორექტირების) შესახებ ინფორმაცია. მე-13-მე-15 სვეტები ივსება იმ შემთხევაში, თუ პირველ-მე-12 სვეტებში ასახულია იმ შეძენილ ნავთობპროდუქტზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) მონაცემები, რომელზეც წინა საანგარიშო პერიოდებში განხორციელდა საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდა და მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილ თანხაზე/თანხის ნაწილზე გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შესაბამისად, მე-13-მე-15 სვეტები მოიცავს საანგარიშო პერიოდში შეძენილ საქონელზე წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ ინფორმაციას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

gulisgulSi unda gjerodes, rom swored Sen miaRwev warmatebas iq, sadac sxvebma marcxi ganicades.

ser arTur konan doili

xandaxan giwevs ramodenimejer moigo erTi da igive omi saboloo gamarjvebis mosapovebl ad.

margaret TeTCeri

bevri diadi pirovnebis cxovrebas vicnob, da maT Soris erTi saerTo aRmovaCine: isini ara saqmes ar Takilobdnen, xolo roca raime saqmes xels mohkidebdnen, Tavs ar zogavdnen, miznis misaRwevad mTlianad ixarjebodnen.

hari s. trumeni

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნაწილი III

გამოწერილი (მსათ მორის, შიდა გაფლაზიდვაზე) ნაკლოლაბორატორიული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მსათ მორის, კორექტირების)

წესად მსათ მორის კორექტირების		წესად.ინოგლის კორექტირებაც ხდება		სპეციალურის ოვალისტრაციის ნიმეგრი																
სერიის№	თარიღი	სერიის№	თარიღი	პუნქტების	დასახელების															
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15						

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნაწილი II[2]

შემენილ ნავთობპროდუქტებზე გამოწერილი ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (მათ შორის, კორექტირების)

ნსაფ. მათ შორის კორექტირების		ნსაფ, რომლის კორექტირებაც ხდება		სტაციონარის რეგისტრაციის ნომერი		გამოყენებულის ხ.ნ	ნავთობპროდუქტის კოდი	რაოდენობა ლ-ში	რაოდენობა კგ-ში	დღგ-ის თანხა		მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა (მათ შორის კორექტირების)		
სერია №	თარიღი	სერია №	თარიღი	გამოგზავნის	დანიშნულების					ჩასათვლელი (მათ შორის) კორექტირების შედეგად დამატებით ჩასათვლელი)	კორექტირების შედეგად შესამცირებელი	სერია	ნომერი	დღგ-ის თანხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

მიდა გადაზიდვის, აგრეთვე ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებული მიწოდების განხორციელების შემთხვევაში ჩაიწერება X, ხოლო ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებული მიწოდებისას - 0 (ნული).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №7308

2018 წლის 30 მარტი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანების პირველ პუნქტს „ტ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „უ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სამსახურის უფროსის სამდივნოს დებულება“ თანდართული რედაქციით (დანართი №20).“.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებას დანართი №19-ის შემდეგ დაემატოს დანართი №20 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №20

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –შემოსავლების სამსახურის სამსახურის უფროსის სამდივნოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) სამსახურის უფროსის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო) არის შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეული.

2. სამდივნოს საქმიანობის საერთო ზედამხედველობას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

მუხლი 2. სამდივნოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი

სამდივნოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, შემოსავლების სამსახურის დებულება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ეს დებულება და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. სამდივნოს ფუნქციები

სამდივნო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) სამსახურის უფროსის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

ბ) სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, სამსახურში არსებული სათათბირო ორგანოების სხდომების დადგენილი რეგლამენტით ჩატარების ორგანიზებას, მათი გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობას და ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას;

გ) სათათბირო ორგანოების სხდომების კალენდრის შედგენას და წევრების ინფორმირებას;

დ) სათათბირო ორგანოების სხდომის დღის წესრიგების მომზადების უზრუნველყოფას, წევრებისგან/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისაგან საკითხების/განსახილველი მასალების გამოთხოვას და შესაბამისი პირებისათვის წინასწარ გაგზავნას;

ე) სათათბირო ორგანოების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების ოქმების წარმოებას და უფლებამოსილი პირებისთვის გაგზავნას;

ვ) სათათბირო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგს;

ზ) სამსახურის უფროსის სახელზე შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას;

თ) პროტოკოლის წარმოებას;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ი) კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფას;

კ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულებას.

მუხლი 4. **სამდივნოს ხელმძღვანელობა**

1. სამდივნოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

2. სამდივნოს სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

3. სამდივნოს უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს, მოქმედებს სამდივნოს სახელით;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

გ) ახორციელებს სამდივნოს საქმიანობის მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, წარადგენს წინადადებებს თანამშრომელთა ფუნქციებისა და მათი პერსონალური პასუხისმგელობის საკითხების განსაზღვრის თაობაზე;

ე) წარადგენს წინადადებებს სამდივნოს თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) ანგარიშვალდებულია შემოსავლების სამსახურის უფროსის წინაშე;

ზ) შემოსავლების სამსახურის სახელით ხელს აწერს სამდივნოს საქმიანობასთან დაკავშირებულ კორესპონდენციას;

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გ. თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

saqarTvelos erovnuli banki

ფულადი გზავნილები მარტში

16.04.2018

2018 წლის მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 131.1 მლნ აშშ დოლარი, 320.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 17.0 პროცენტით (19.1 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის მარტის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.6 პროცენტი იმ 13 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მარტში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 13 ქვეყანაზე გასული წლის მარტში მთელი ფულადი გზავნილების 92.0 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა მარტი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		მარტი, 2017	მარტი, 2018
სულ	131.1	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	43.8	29.8	33.4
მათ შორის:			
იტალია	15.5	9.9	11.9
საბერძნეთი	13.7	10.3	10.5
გერმანია	3.5	2.3	2.7
ესპანეთი	3.3	2.5	2.5
საფრანგეთი	1.5	1.1	1.1
გაერთიანებული სამეფო	1.3	1.1	1.0
დანარჩენი ქვეყნები, სულ	87.3	70.2	66.6
მათ შორის:			
რუსეთი	38.1	34.2	29.1
აშშ	13.0	10.5	9.9
ისრაელი	13.0	7.7	9.9
თურქეთი	10.6	8.3	8.1
უკრაინა	2.3	2.0	1.8
აზერბაიჯანი	1.6	1.1	1.2
ყაზახეთი	1.2	1.0	0.9

2018 წლის მარტში საქართველოდან საზღვარგარეთ 20.9 მლნ აშშ დოლარი (51.1 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 16.8 მლნ აშშ დოლარისა (41.6 მლნ ლარისა) გასული წლის მარტში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

11.04.2018

2018 წლის 11 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო შვიდმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 53 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.200 პროცენტით, მაქსიმალური 7.290 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.256 პროცენტითგანისაზღვრა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

11.04.2018

2018 წლის 11 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე გაიყიდა 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 73 750 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.390 პროცენტით, მაქსიმალური 7.430 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.421 პროცენტითგანისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.625 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

18.04.2018

2018 წლის 18 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 25 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 10-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 42 746 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 9.070 პროცენტით, მაქსიმალური 9.090 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 9.072პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 9.375 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com